საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №283
2018 წლის 27 ივლისი

ქ. თბილისი

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებაში (ვებგვერდი, 110711025, 11.07.2011წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. №1, №2, №3 და №4 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. დაემატოს „მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების ხარჯთაღრიცხვის მომზადების ინსტრუქცია“ (დანართი №6) თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული №3 და №4 დანართებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული №3 და №4 დანართები ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**